

12 545



ფოტოგრაფი (კულაკს): — გაიღმეთი მხიარული სახე დაიჭირეთი
 კულაკი: — შე დალოცვილო, რა მაქვს სამზიარულო? ჩემს უბედურებაზე გავიღებო? ხომ ხედავ რაღა
 გორ შემომიტებს?

საქართველოს
 ბიბლიოთეკა-მ
 ბიბლიოთეკა
 იმენი
 შ. შ. შ. შ.
 1980

„ტარტაროზის“ ბრიგადები

— ამჟამად სოფლად სწარმოებს გამწვანებული კლასობრივი ბრძოლა, — ვამბობთ ჩვენ.

— უყურეთ, უყურეთ, — გაიძახიან კოლაკები, მემარჯვენეები, მენარცხენეები და მათი მთესავ-მეგობრები, — კომუნისტებს უხარიათ, სოფლად რომ ბრძოლა გამწვანდა, ისინი ხელს უწყობენ ამ ბრძოლას.

— უკაცრავად ბრძანდებით, — ვამბობთ ისევ ჩვენ, — თქვენ გგონიათ, ჩვენ ვანგებ ვიწვევთ ამ ბრძოლას, ჩვენ უსათუოდ ვცინად, რომ კულაკმა კოლექტივის საბაზისი ვადასწავს? ეგრე არ ვახლავთ საქმე. საქმე საქმეშია, სახელდობრ: ჩვენ ვაწარმოებთ სოფლის სოციალისტურად გადახალისების პოლიტიკას, ჩვენ ვატარებთ მთლიან კოლექტივიზაციას, ერთი სიტყვით, ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს. ამავე დროს არის ისეთი ხალხი, რომელსაც არ მოსწონს ეს ჩვენი სოციალიზმი და გვებრძვის. ასეთი ხალხი სოფლად ვახლავთ კოლაკობა, ყოფ. თეად-აზნაულობა, მღვდელი - ხუცობა, მემარჯვენეობა და სხვა და ასე შემდეგ. ღიბს, და ასეთი ხალხი რომ არის, ჩვენ თვით გვებრძვის, წინააღმდეგობას გვიწევს და ხელს გვიშლის კოლექტივიზაციის გატარებაში. გვებრძვის სასტიკად, გააფთრებით.

გვებრძვის ხმალი - ამოღებული.

ხოლო რაღაი საქმე ბრძოლაზე მდგა, რაღაი ჩვენ ხელს გვიშლიან სოციალიზმის შენებაში, აბა ბრძოლა ჩვენ გვეკითხეთ! ჩვენ ვაშენებთ, თქვენ (მღვდლისმეტი კოლაკები) ხელს გვიშლით? — მაშინ ნება გვიბოძეთ მოგვეთხოთ ვე ჩვენი ხელის შემშლელი ხელი. თუნდაც ნებაც არ გვიწყალობათ, ჩვენ მაინც ჩვენსას ჩაედინებ და ყოველგვარ მტრულ ხელს მოგვეკეთთ. ხელი კი არა, — ზოგს, მტრისმეტ გააფთრებულს, იქნებ თავის დაკარგვაც მოუხდეს.

მაშასადამე, პირველი ვახლავთ კლასობრივი ბრძოლა სოფლად.

მევევით მეორეს:

ახლა რომ ჩვენში კოლმურნობათა მშენებლობა მშობება, მას უდიდესი დახმარება ესაჭიროება, რადგანაც ჩვენს გლეხებს არც მენშევიკებისა და არც ნიკოლოზის დროს „რატომღაც“ არ დაუარსებიათ კოლექტივები, და მით უნეტეს, არც მთლიანი კოლექტივიზაცია გაუტარებიათ. ასე, რომ, ჩვენს მშრომელ გლეხობას კოლექტივიზაციაში საქმრო გამოკიდლება არა აქვს. ამიტომ, რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, საქმროა მისთვის დახმარების გაწევა.

ვთქვათ შესამეტ:

კოლმურნობათა მშენებლობაში დღეს ბევრია ნაკლი: სწარმოებს ბრძოლა, როგორც კოლექტივის გარეთ, ისე მის შიგნით, სადაც უცხო პირებიც არიან შეპარული. ასეთ კოლექტივებს ვაწვინდა ესაჭიროება.

ნუ დავივიწყებთ მეთხეს, — დღევანდელ ერთ შთავარ ამოცანას: ახლა სოფლად სავაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანია იწყება და ჩვენ, გლეხობათათნ ერთად, უდიდესი სურვილი გვაქვს გავაფართოოთ ნათესების სივრცე, ავსწოთ მოსავლიანობა, მოვაწყოთ სასოფლო - სამეურნეო რაციონალიზაცია, მთლიანად გამოვიყენოთ ძველი და ახალი სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანები და სხვ.

დაბოლოს, მეხუთე:

სასოფლო - სამეურნეო კამპანიასთან, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის ფართო მშენებლობასთან დაკავშირებით, დღეს ჩვენი ყურადღება მიმართულია სოფლისაკენ, რადგანაც სოფლად ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას როგორც ქალაქის, ისე სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე.

გამოვიდა რა ველა ამ ხუთი მონაზრებიდან „ტარტაროზის“ რედაქციამ გადახვევითა სოფლად ვაგზავნოს თავისი ბრიგადები.

რაც მართალია, ერთი - ორი თათანამშრომელთაგანი ფიქრობდა ერთი ბრიგადის ვაგზავნას, მაგრამ ვინაიდან, სამუშაო სივრცე მეტად ფართოა და სამუშაოც აუარებელი, ამიტომ ერთმანად ვადაწყვედა ვაგზავნა რამოდენიმე ბრიგადის, ისე, რომ ჩვენი ბრიგადების წევრებით უკვე ამჟამად არის მოფენილი მთელი საქართველო, ატრთონიამური რესპუბლიკებისა და ავტ. ოლქების ჩათვლით.

ბრიგადები ჩვენ უკვე ვაგზავნილი ვადას რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. ჩვენ პირველად ვიფიქრეთ მოგვეწყო ბრიგადების საზეიმო გაცილება, მაგრამ ეს გამოიწვევდა ზედმეტ დროს, ენერჯის, სიტყვების და ბორჯომის წყალის დახარჯვას და ამიტომ ჩვენ დავერიდეთ ამ ხარჯებს.

ღიბს, ბრიგადები უკვე დაგზავნილია.

ბრიგადების წევრონი თქვენ თუ არ დაგეკარგათ, ან არ დაგაფიწყდით, უკვე მოგეცით ინსტრუქცია თქვენ მიუშაობის შესახებ, მაგრამ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, საქმროდ მოგაჩინია ვითხრათ და მოგაგონათ თქვენი მოვლეობა.

ბრიგადის თვითვეული წევრის უშუალო ვალდებულებაა, ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მოჯამაგირე, ღარიბ და საშაულო გლეხობას კოლექტივების დაარსებაში.

ბრიგადის წევრის ვალა ენერგულათ იბრძოლოს მთლიანი კოლექტივიზაციისათვის.

ბრიგადის წევრი უნდა იყოს კოლმურნობის პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი.

ბრიგადის წევრებმა უნდა გაიზეპირონ ზემოდ-ჩამოთვლილი ხუთი დებულება და ისე იმოქმედონ, როგორც მოუხდება მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას, სახელდობრ:

ა) სოფლად გამწვანებული კლასობრივი ბრძოლა მათ უნდა დაავციონ რეგონთ მოჯამაგირე, ღარიბი და საშაულო გლეხობის სრული გამარჯვებით;

ბ) რადგანაც გლეხობას სითანდო გამოკიდლება არა აქვს კოლმურნობათა შენების შესახებ, ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიოს მას კოლექტივების მოწყობაში, გამსხვილებაში და გაძლიერებაში;

გ) ბრიგადების წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ კოლექტივების გაწმენდასა და გაჯანსაღებას;

დ) ბრიგადების წევროთა უშუალო ვალდებულებაა, ყოველმხრივი მუშაობა გასწიონ, რომ სავაზაფხულო სან-სამ. კამპანია რაც შეიძლება წარმატებით ჩატარდეს, გაიზარდოს მოსავლიანობა, გაფართოვდეს ნათესების სივრცე;

ე) ბრიგადების მთელი საქმიანობა უნდა სწარმოებდეს იმის მტკიცე შეგნებით, რომ სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გადახალისების ამოცანის დადებითად გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება და სავრთოდ ჩვენი წინსვლა მომავალში.

დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ბრიგადებისთვის: მათ დაუნდობლათ უნდა ამხილონ სოფლის დღევანდელი მშენებლობის ყოველი ნაკლი, თვითვეული გადამანინჯება, თვითვეული - მტკიცეული მოვლენა, ყოველი მძინარა საბაგოს თავმჯდომარე, ყოველი მოვლემარე აგრონომი, კომუნისტი, კომკავშირელი, უპარტიო, პასუხისმგებელი და ტენიკურ რი მომუშავე. ერთი სიტყვით, თვით-კრიტიკა უფოშობილი, სასტიკი და ფართოდ ვაშლიდით!

მაშ, ასე ბრიგადელებო, წინ, მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ. განაიხეთ, გააქროთ და გაევიანტეოროთ კულაკობა, როგორც კლასი!

აღლოარ-აღლოარსან.

წერილი მშობლებს!

მე ეს წერილი მინდა დავიწყო
სულ სხვანაირად, არა ძველურად.
ცდებით, ძვირფასნო ჩემო მშობლებო,
რომ თქვენ ჩამთვალეთ უცხოთ, ველურად.

მე ტფილისში ვარ რკინის გზის მუშად,
ჯამაგირი მაქვს ისე, საშვადლოთ,
ვარჩენ ცოლ-შვილს და... ვარსებობ ჩემთვის,
ფულეები არ მაქვს ზვინათ და კალოთ...

მაგრამ ბედს მაინც მე არ ვემდური.
პირიქით, სრული ვარ კმაყოფილი;
ტორტს მიჩრჩენია რიგში ხდომილი
გირვანქა ყველი და ქართოფილი.

და ეს თქვენ იცით რისთვის და რატომ?
ჰმ! ვერ მიხვდებით თქვენ ჯერ ამ ამბავს.
ხელისუფლება თვითუფლ ჩვენგანს
სოციალიზმში უშუალოთ აბამს.

ჰო, ტფილისში ვარ... სოფელში მხოლოდ
ჩამოვდიოდი სტუმრად მშობლებთან.
დროს ვატარებდი ქეიფში, ლხინში
მოკეთებთან და მეზობლებთან...

სხია არაფერი (ან რა შეჰქძლო!)
მაგრამ ეს არის „სოფლისკენ პირი“?!
არა, იცოდეთ! ეს მასხრობაა
და დაპირება მხოლოდ ზეპირი.

იცითი რა გიბრათ? (ნუ შეუხტებით).
თქვენთვის (სოფლისთვის) დადგა სხვა ხანა
დაფიქრდით და ნუ დაგეშართებათ
გულის ფრიალი და თავის ფხანა.

თქვენსკენ დაიძრა ტრაქტორთა რაზმი,
ის გადათელავს ღობებს და ყორებს.
და კოლექტივი მოხპობს „კორდონს“,
არ წავაჩხუბებს ერთი-მეორებს,

მე ჩემი წილი (ხომ კი მერგება?)
მიწა შევსწირე კოლექტივის სოფლის.
იცოდეთ კარგად: კოლექტივია
დამფასებელი შრომის და ოფლის.

კვლავ ვიმეორებ: ნუ შეუხტებით,
(საქმე კეთდება ღიღი და კარგი), —
თორემ ბოდიშსაც არ მოგიხდინან,
ისე გახდებით ზედმეტი ბარგი.

ჩვენს ქვეყანაში, ვინც უკვირდება,
სულს ზვა ქვეყანა იქმნება თითქმის,
და საყვედური კომუნისტებზე
თქვენ კარგად ხედავთ, არვისგან ითქმის.

ჰო-და, ჭკვიანად... ნუ აღელდებით;
(წელს ზევით მაინც ვერ აუხტებით).
ამაში არის ჩვენი სოფლის ხსნა,
წინააღმდეგი ნუ გაუხდებით.

ი. ხინვალი.

„ლ ა ლ ა ტ ი“



კულაკი (მეგურავენს): — არა გრცხვენია მილაღატე? რა მიქენი ეს?
მე შენი იმედო მქონდა!

(„კროკოდილი“-დან)

„სარტაროში“ № 6
სპეციალური —
თეატრალური
ნომერი
გამოვა 9 თებერვალს

აღსასრული

კულაკმა სიტყვა: — დავილუბე, ეს ხუმრობა როდიათ! შვილი მწერდა ქალაქიდან — ბრიგადები მოდიანო...

უნდა მოხნან და მოთესონ, ღარიბებსა შველიანო, ვანო, გიგა და ონოფრე გაცეთებას ელიანო.

ხლართში მყვანდენ დახლართული, ოი, ღმერთო! მომკალიო, სულ ჩემიდან გამოქონდათ გუთანი და ნამვალიო.

ეხლა მუშებს განუზრახავთ გაუმართონ მათ ხელიო, ტრაქტორიც გადმოუგზავნენ და თავთავის საჭრელიო.

იღარა სურის ჩემი სიტყვა, ვერაფერს გავაბრიყვეო, „კოლექტივში ნუ შედიხართ“ სიტყვა შორით დავიწყეო.

მანც ვერაფერს მოვხიზლე ვერც მუჭარით, ვერც ხვეწნითო, სულტყუილად ვილაქლაქე გავიხეთქე მუტლის ღვითო.

გადავედი იერიშით დავსწვი ღარიბთ ჭონებაო, ფონზე მანც ვერ გაველი ამერია გონებაო.

უკანასკნელ ღონესაც ვცდი რალაც ბრიგადებიაო,

შ ე ხ ვ ე დ რ ა

ენახე მოყმე სოფლის ბოლოს, ჯდა მტირალი წყლისა პირსა კმუნვის ალი გადაპკროდა მის დაღრეკილ ცხვირს და პირსა. უიმედოთ ბუტ-ბუტებდა, გრძობდა რალაც ვასაჭირსა, ვნახე და ცნობა მომინდა ვინარის და ან რათ სტირსა?

ვუთხარ: „ხომ ხედავ ძველს სოფელს, სიკვდილი გადაჰკიდა? მის მესაფლავეს, კოლექტივს, გაუღდეს გზა და ხიდა. ბრიგადებს ბრიგადა მიაღდეს, ბრძოლა სწარმოებს დიდა; აქ რასა აქნევ? შენ, განა, ყველა ეს ფეხზე გკიდა?“..

მითხარ: „ჰაი, რომ გავჭრილვარ კოლექტივების შიშითა, ჩვენ, კულაკები, ჩვენ საქმეს არას ღროს არ დავიშლითა; ისე მიგვიღოს მიწამან, როგორცა წარმოვიშვითა; არ ვათეთრდება კორანი, რაც უნდა ხეხოთ ქვიშითა“.

ხელი ვკარ, იქით გავაგდე ახალი ქვეყნის მტერია. შევეკვილე: „ღიად ჭიდილში დაგფერთხავთ ვითა მტერია; თქვენი უმსგავსო საქმენი მოკლეა, მით ოხერია; ჩარის კოლექტივი რათ უნდა, ანუ რა მისი ფერია“.

ბოჰსინი

პურ-მარლზე დავპატიეებ ცოტა შემთავრებიაო.

როცა შექანჯალდებთან მაცდურათ თვალს ჩაუკრავო, ჩემს ნებაზე ვათამაშებ, დაირასაც დავუტრავო.

ფოფოდიას დავპატიეებ, მოარშიყე ძველიაო, თვალებს ისე დაუნაბავს ვით მაცდური მელიაო.

თუ ეს ხერხიც ჩამეფუშა დავმარცხდი და ის არიო, ლამის თვალთა დამიზნელდეს, გასკდეს გულის ფიცარიო.

გამოვიკრავ გულა-ნაბადს მე აქ ველარ დავარებო, გულო, რათ არ დაიცილები გულო, რათ არ დაშრებო.

მანი.

გ ა ნ ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ა მ ბ ა ვ ი



— სად გარბინარ? გადიხადე ათი შაური ჯარიმა ტრამვიდან ჩამოხტომისათვის!

ფეჩის მელოდია

ეს სათაური ფუტურისტულია, მაგრამ შესაფერისია.

თუ ეს ფუტურისტობაა, მაშინ პროფ. მოსე თოიძეც ფუტურისტი ყოფილა, რადგან მას აქვს ასეთი ნახატი:



სამოვრის მელოდია

როცა გამოფენაზე ეს სურათი ვნახეთ (ეს იყო ხუთი წლის წინედ, ამხანაგმა იხუმრა:

— ამის უკეთესი თემა იმ კაცმა ვერაფერი ნახა?! თუ სამოვრის შიშინი მელოდიათ ესმის მას, ყურები სტიკივები! ქალი უზის მაგიდას. მაგიდაზე: აღუღებული სამოვარი, ლიმონის ნაჭერი, ჩაის ჭიქა ლამბაქით და, სხვა არაფერი?! — უკვირდა ამხანაგს.

რაღა დავმალო, მეც მებამუშა მაშინ „სამოვრის მელოდია“.

როცა სახლში მივედი, ცოლს სამოვარი ავადუღებინე, მაგიდაზე დავდგი და მოეუსმინე სამოვარს თავისი მელოდია. იყო რაღაც მუსიკალობა, მაგრამ არც ისეთი, რომ ღირებულ იყო მასზე სურათის დახატვა.

მაგრამ ეხლა კი დავრწმუნდი, თუ რა ღრმა შინაარსი და განცდა მოცემული „სამოვრის მელოდია“-ში.

ამაში დამარწმუნა შემდეგმა გარემოებამ:

—:—

როცა თოვლით მიდამო გაათეთრა, დაჭვარა და წილი ბუნება უცბად გახდა ქაღალა, — დავლგი ფეჩი ოთახში (სიცივემ გამაშეშა), მაგრამ ფეჩი რას იზამს, თუ არ არის შიგ შეშა!

ადგილკომი (ველოდია) დავგპირდა: შეშას მოგცემთ მალეო, დღეს თუ არა, ხვალეო.

მაგრამ როცა ცოლშვილს აევისო

მოთმინების ფიალა, ცოლმა გარედ გამოგლო (კიდევ გამოიტალა).

მთაწმინდაში ვცხოვრობ. მთიანია ადგილი და იქ შეშის ატანა არ არის მთლად ადვილი.

წავედი დიდუბეში. (ხელგებს ვითბობდი უბეში).

სამ დღეს უქმად ვიარე. (რა არ გამოვიარე!) შეშა ხელში ჩავიგდე ომიოთა და ჩხუბითა. მაგრამ ხომ ვერ წაველბე ჯიბითა და უბითა?

— მხოლოდ ოცი მანეთი, არც მეტი, არც ნაკლები! ცხენები მყავს ფურგონში, არ გეგონოს აქლემი! — მეუბნება მეფურგონე, (მეხუმრება რაღას.. დღეს ივია ჩემი ბატონი და ალა).

— ჰა, ძმაო, დატვირთე ერთი ფურგონი, და იქნება ნახევარი საყურე. — მოთხრა შეშის საწყობის გამგეკ.

— ნახევარი საყურე როგორ დავტევა ერთ ფურგონზე?

— ყველას ასე მიაქვს. ერთი ფურგონი — ნახევარი საყურეა! — „დამარწმუნა“ საწყობის გამგეკ.

რა გავწყობოდა; შევეუდექით დატვირთვას.

— ისე დავწყობოთ, რომ ცხენებს არ გაუქირდეს წაღება, ცოტა დავუდლოთ! — გადაუჩურჩულა მეფურგონემ მტვირთვას.

მართლაც მალე „დატვირთეს“.

— გზებზე არის ტალახი... იყოს ჩვენი შემწე ღმერთი და ალაბი! — სიქვა მეფურგონემ, და დაიძრა ჩვენი ფურგონი.

მე დავწინაურდი.

როცა ჩვენი ქუჩის მოსახვევში შევივებე ფურგონს, გულზე მეცუელდა, თვალი დამიბნელდა — შეშას აკლდა ბლომად.

თურმე გზაზე ბიჭ-ბუჭები იტაცებდნენ შეშას. მეფურგონეს რა ენაღვლებოდა, ცხენებს ტვირთი აკლდებოდა.

შევუდექით აღმართს.

დადგენ ცხენები.

მეფურგონე ისე ავიწებდა ცხენებს, თითქოს მათი მამა ყოფილიყოს, ცხენები კი—მისი შვილები.

ცხენები არ იძვრიან.

თოვს.

— ნუ სცემ ცხენებს, შესდექ! ნახევარი აქ დასტოვე და წაილე შეშა! — ასწავლა ქაქუა მეფურგონეს გამელეღმა მოქალაქემ.

და არც იყო მეტი ჩარი, იქ დავტოვეთ ნახევარი.

და როდესაც შემდეგ მოვეუბრუნდით წასაღებად დატოვებულ ნახევარს, — თმა დამიდეგა ყალყზე და გამიშრა ხახა, როცა თვალმა ნახა: შეშის ათიოდე ნაჭერი ეგლო მხოლოდ (დანარჩენი გაეტაცათ).

—:—

სალამოს (ეს ოპერაცია მთელი დღე გაგრძელდა), როცა ფეჩი შეშით გამოვტენე, ზედ ერთი გირვანქა ნავთი დავასხი და ცეცხლი მოეუკიდე, ცოლშვილს სინარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ფეჩს გარშემო შემოვეუსხედით ყველანი.

უცბად ჩაქრა ცეცხლი.

ფეჩის კარები გამოვადე და შიგ შეივხედი. ნავთი დამწვარიყო, ხოლო ვატრუსული შეშა „ხელშეუხლებლად“ ეწყო.

ისევ ნავთი... ისევ ნავთი... ისევ ნავთი.

როცა ათიოდე გირვანქა ნავთი მივაწვი, ფეჩიდან მოისმა მელოდია.

ისევ გავადე ფეჩის კარი.

შეშის ნაჭრებიდან ქაფიანი წყალი ჟონავდა.

შეშის ნაჭრები სტიროდენ ქაფიან ცრემლებით.

ყური დავუგდე და მათ მელოდიაში მე ეს სიტყვები გავიგონე:

— ცოლდა არა ვართ, რომ ასეთ ოას“ (ე. ი. ძვირი დაგიჯოს ჩვენი თავი) შეშას ფეჩში გვწვავ?! მაგრამ ჩვენ არ დავიწვებთ; მომავალ წელსაც უშეშით დასტოვებს ქალაქს სატყეო ტრესტი და, მაშინ გამოვადგებით, შეგვიანებ მანამდე. ჩვენ მთებიდან მტკვარმა ჩამოვიტანა. გარეთ ვეყარეთ. გაუღწილი-გაბერილი ვართ წყლით! — მოსთქვამდნენ ქაფიან ცრემლებით შეშის ნაჭრები.

და მართლაც ამ მელოდიაზე ჩემზე ისე იმოქმედა, რომ იმ „ძვირფას“ შეშას აღარ ვწვავ.

ცოლ-შვილს ისევ აძაძაგებს.

აი, ეხლა სხვებისათვისაც ადვილი გასეგება, თუ რას ნიშნავს მელოდია... სამოვრის იქნება ის თუ — ფეჩის.

—:—

ხან იმასაც კი ვფიქრობ:

— ეგებ ეს შეშა მოსე წინასწარ-მეტყველის იმ ბიბლიურ ბუჩქის შეშაა, რომელიც „იწოდა და არ იწოდა“.

ინალი.

„ბოროტმოქმედების ადგილზე“



— „ჩვენი გამგე ყველგან გამოდის კერძო სასადილოების წინააღმდეგ, მაგრამ მას ერთხელაც ვერ ნახავთ წითელ სასადილოში, მუდამ აქ დადის!“

იერიში ნავაგზე

— თქვენ გეცინებათ... აქ კი სასაცილო არაფერია. რომ დასწრებოლით ქალაქის კომუნალურ განყოფილებაში გამართულ თათბირს ქალაქის სანიტარულად გაწმენდის საკითხის შესახებ, დამერწუნეთ, რომ თქვენ პირველი წამოისეროდით ამ ლოზუნგს.

— კაცო, რა დროს ნავაგზე წერაა, როცა მთელი მსოფლიო ყალყზე სდგას? — მეტყვიით თქვენ.

რომ დასწრებოლით ამ თათბირს, თქვენც ყალყზე დადგებოდით და აი რატომ:

თურმე მეგზოვების ადგილკომები ერთიანი ფრონტით იბრძვიან ქალაქის გასუფთავების წინააღმდეგ და მოუწოდებენ მეგზოვებს არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ ამ მუშაობაში. კიდევ მეტი: ადგილკომები მეგზოვებს საბოტაჟს ავალებენ და უნერგავენ იმ აზრს, რომ ქალაქში სისუფთავის დაცვა მათ მოვალეობას არ შეადგენს.

მაგალითად, მე-3 რაიონში ადგილკომმა „შეუგნებელ“ მეგზოვებს

შეაწყვეტინა ქალაქის გასაწმენდათ დაწყებული მუშაობა და ასეთი ურჩობისათვის მათ სასტიკი საყვედური გამოუცხადა უკანასკნელი გაფროთხილებით.

იმისათვის, რომ ჩაშალონ ქალაქის სინამდვირისაგან გამსუფთავებელ კომისიის მიერ დაწყებული მუშაობა, ადგილკომებს მოუხდენიათ მეგზოვების „განიარაღება“. როგორც მომსახურებელმა აღნიშნა თათბირზე, მეგზოვებს არ აქვთ არც ნიჩაბი, არც წერაქვი და არც ცოცხი. უჭირავთ ხელში „ტროსტები“ და დასეირნობენ.

რა ვქნათ? მეგზოვები გავცილდით კაცდენ. ქალაქი სავსეა ნავაგით. იერიში ნავაგზე! — აი ამ ლოზუნგმა თუ ფართო გამოზნაურება არ ჰპოვა მასებში, ჩვენი საშეგლი არ არის.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ლოზუნგის ცხოველმყოფილობა, მისი განხორციელების აუცილებლობა ღრმად აქვს შეგნებული ყოველ მოქალაქეს, გარდა „უაქტ“-ის სახლების კომენდანტებისა (მეგზოვები ხომ

მხედველობაში აღარ მიიღებიან).

„უაქტ“-ის სახლების კომენდანტები ამ იერიშში არ გამოგვადგებიან, რადგან, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, მათ ბლოკი აქვთ მეგზოვებთან. ეს ცხადყო უკანასკნელი დღეების გამოცდილებამ, სანამ ამხ. ხმალაქემ ვირის აბანოში არ უკრა თავი რამდენიმე კომენდანტს, ქალაქის გამსუფთავებელ კომისიის მუშაობის წინ წაწევა არ მოხერხდა.


ქალაქში სიმყრალის სუნი მატულობს. მართო სისუფთავის დამცველი კომისიის წევრები ვერას ხდებიან. ნავაგი გროვდება, ნავაგი მატულობს. იერიშით ნავაგზე!

„ტროსტიან“ მეგზოვებთან და ბორტფელებთან კომენდანტებთან სალაპარაკოთ ჯერ არ გვეცალია. ჯერ უსულო მაგრამ აესუნინი ნავაგს მოვაშოროთ ქალაქს და შემდეგ სულიერ ნავაგთა საწინააღმდეგო ლაშქრობა დავიწყეთ.

აჰ, იერიში ნავაგზე!

სამიირ-ბან-შიჩხ.

ჩვეულებრივი მოვლენა



— ამხანაგო, კალოშები მომცით.

— ქალის კალოშები გვაქვს, კაცის აღარ არის.

— მომცით კალოშები!

— კაცის კალოშები გვაქვს, ქალის არ არის.

ჩვენი ბრიზა

თავისებური რაციონალიზაცია

(რადიო საკუთ. კორესპონდენტისაგან).

სადღურ სანდარის ანლოს სოფლის კავშირის მოწყობილი აქვს სამეურნეო მანქანა - იარაღების სახელოსნო, სადაც სწარმოებს მიწათმოქმედების რიგზე, მხოლოდ ამ სახელოსნოს მუშაობის ტემპი ბევრით განსხვავდება საერთოდ ჩვენი ყველა და ყოველგვარი ტემპებისაგან. სახელოსნო ერთი ტრაქტორის შეკეთებას სჭირდება სამჯერ მეტი დრო, ვიდრე მოწოდება ახალი ტრაქტორის დამზადებას.

სახელოსნოში მოსამსახურე მეტია, ვიდრე მუშა. ალბათ აქაც თავისებური რაციონალიზაცია.

არის კიდევ ერთი „უმნიშვნელო“ ფაქტი: ტრაქტორები და მანქანები დღეობით და ხუთ-ათ დღეობით ყრია თოვლის, წვიმის, ქარის, ტალახის და სხვა მოვლენათა ანაბარა. ალბათ იმ მოსაზრებით, რომ მანქანები გარეთ ყოფნას შეეწვიონ: მათ ხომ გარეთ მუშაობა მოუხდებათ მომავალში! მართალია, ასეთი ხერხით მანქანები ცუდება და ფუჭდება, მაგრამ ეს არის სოფლის კავშირის თავისებური რაციონალიზაციის მსხვერპლი.

ტარბრიგადელი ზიშტი. ლოგოპიზმება, თუ შემბრალება (დებეშა-ფლევა, საკ. კორესპ.)

გურჯაანში ასამართლომ განიხილა კულაკების საქმე. კულაკებს ბრალი დაედოთ ისეთი „უმნიშვნელო“ საქმეებში, როგორც არის:

კოლმეურნეობათა საწინააღმდეგო აგიტაცია, პრობაგანდა, მესამე სესხის გავრცელების ჩაშლა, კონტრევოლუტციონური ორგანიზაციის დაარსება ცდა და სხ.

ამ საქმის მთავარი მონაწილენი, მართალია, სასამართლოს არ დაუხვრეტია, მაგრამ... ორი წლის პატიმრობა კი მიუსაჯა. ეს მთავარი ბრალდებულები: ირემავილი და ბაღდასაროვი. დანარჩენ კულაკებს მიუსაჯათ... ეს! აღარ ღირს ლაპარაკი.

რა არის ეს: ლომობერება, ზომიერება, შებრალება თუ კიდევ სხვა რამ?

ტ. ბ. ყულვი.

ჩამომიღინ

(პირდაპირი მავთულით საკ. კორესპ.)
აფხაზეთში ჩამოვიდნენ ჩრდილოეთ - კავკასიიდან გამოძევებული კულაკები, რომელთაც ადგილობრივი კულაკები ასაღებენ. როგორც ყუბანში დაშლილ კოლმეურნეობათა მსხვერპლთ. მართალია, ეს საქონელი (იგულისხმებთ კულაკი) ნაკლებათ ხალდება აქ, მაგრამ შეიძლება სხვა რამეთ, მაგალითად საეკსპორტოთ გამოადგეს, როგორც ცხიმოვანი ნივთიერება, რადგანაც კულაკებს ძველი ცხიმი კიდევ აქვთ შეჩინილი.

ტ. ბ. კანჭი.

ნუ შეხვალთ... კოლექტივში.

(პეირო - ფოსტა, საკ. კორესპ.)

თურმე საბჭოს თავმჯდომარე ისეთივე შეიძლება იყოს, რომელიც კოლექტივის არა საბჭოურათ უყურებს. თუ არ გჯერათ, კითხეთ წითელი ქალაქის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

მარე თეიკაშვილს და გაიგებთ, რომ კოლექტივიზაცია მანე მოვლენაა.

— ნუ შედიხართ კოლექტივში! — ასე მოუწოდებს იგი გლეხებს, — კოლექტივი რა გლეხის საქმეა, ჩვენ ცალკე გვიყვარს ცხოვრება!

ასეთი თავმჯდომარე მართლა უნდა განვაცალკევოთ ჩვენი საბჭოთა და მშრომელი გლეხებისაგან.

ტ. ბ. კომბალი.

ნუ აწუხებთ ხალილოვს.

(ტელეფონით, საკუთარ კორესპონ.)

ლიუქსემბურგის (ბორჩალო) რაიონის კომში უდიდესი „სიფინოლით“ ეპრობინ კოლექტივიზაციას. მაგალითი გლეხების ერთმა ჯგუფმა აღმასკომში შეიტანა განცხადება კოლექტივში მათი მიღების შესახებ. ეს განცხადება, როგორც წესია, „საქმეში“ დაკერდა, წინასწარი რეგისტრაციით. ვინ იცის სანამ იქნებოდა ამ „საქმეში“ გლეხთა სურვილი, რომ მსუბუქ კვალიერის არ გამოეჩინოვებინათ.


იმავე მს. კავალერიის ბრალია რაიონის კომის თავ-რის „უსაფუძვლო“ შეწყობება, კავალერიისტიების მოთხოვნით, მან სამი საათი ეძებდა... თესვის კამპანიის გეგმა, რომელიც საქმეებში იღო თავისთვის, განა შეიძლება აჩხ. ხალილოვის (თავ-რე ვახლავით) ასე შეწყობება ისეთი, „უმნიშვნელო“ საქმისათვის, როგორც არის თესვა და კოლექტივიზაცია?

ტ. ბ. კვანტი.



— ეს რა ამბავია? რა დაგემართათ!
 — ხეხი.. დღეს შრომის ბირუს კომისიას ველოდებოთ და თუ თავი გაკვირვებულათ არ მოეაჩვენეთ, მლ-
 ლეხნიან აღრიცხვიდან!

მადრი



— გადაფურჩით კომიხიას,
ჩვენც ვამშვენებთ ბირუს სიას.



ტარტაროზის მსუბუქი კავალერიის თავდასხმა იუსტიციის სახალხო კომისარიატზე



- არიქა მიეშველეთ!
- რა ამბავია?
- კაცი წაიქცა!
- წყალი, წყალი!
- გინ წაიქცა?!
- რა მოუვიდა?!

— დამცველთა კოლეგიის წევრი
წაიქცა: ვეჩილების კოლექტივიზაცია
გაახსენდა და გული შეუწყუხდა.



ნეტავ რა არის მისთანა
ამომავალი მზისთანა?! —
„სოციალისტი“ ნაქები
კირილუ ნინიძისთანა?
მისთა საქმეთა მოთხრობა
არვის ეგონოს ადვილი,
თავსა თვლის სოციალისტად,
ჯვაროსანია ნამდვილი.
კათალიკოსი დაიცვა,
ხუცებს უმშვენა მხარია:
მენშევიცია უღრეკი,
ხუცურად მოუბარია.

კოდექის ნაცვლად მის თავში
ხატებია და ჯვარები.
ჩამოდნა კაცი მისთვის, რომ
„სხვაგვარად ჰქრიან ქარები“.



ღვარსაბ ანდრონიკაშვილი —
ვეჩილ — პროფესორი, —
მის შესახებ, რასაც ვიტყვით
გეგონებთ ჭორი:
ამისთანა პროფესორსა
ვით არ დავდვა წუნი,
როცა უღის მის ლექციას
საკმეველია სუნი? —
ოთქოს იგი კათედრიდან
„ცოდნის“ გზას გვინათებს.
შიგრამ პირად ცხოვრებაში
სანთელს უნთებს ხატებს.



დაშნაკელების შინისტრი
იუსტიციის დარგიდან;
საბჭოთა მდგურებს რომ ხდევნის
თავის საკუთარ სახლიდან,
ბატონი არუთინოვი,
მოსული ვაჭართ დახლიდან
„დამცველთ“ თავიუღს ამშვენებს,
— დროა ავბარჯოთ აქიდან.



ვაჭრის შვილი და მემკვიდრე,
შემდეგ თვით ვაჭარებულო,
მანაც დროა, რომ დასტოვოს
დამცველთა დიდი კრებულო.
გვიკვირს საიდან დავროვდა
ამდენი „რჩეულთ რჩეული“
ივანე ახვარდოვისთვის
სხვა გზა ვაჭებს ამორჩეული.



თელაველი ვეჩილია
აბულაძე ბიძინა.
მისი ტენის აპარატმა
აბულაძე ბევრი იძინა.
დღესაც სძინავს, ისე როგორც
თათქარიძეს სწვევია, —
პოლიტიკის ანა-ბანა,
ვერც კი გაურჩევია.



სიღნაღის ბაღში სეირნობს
ხშირად ვეჩილი ხარაძე,
ლა თან „სულიკოს“ პანგებზე
ლილინებს როგორც ხვარამზე:
— „კლიენტო, მოდი, სადა ხარ.
თუ არ დავიცვა კრულ ვიყო
გულ ამოსკვნილი დაგეძებ,
განოხნილი, ჩემო სულიკო! —
გამოხნილი, თორემ უშენოდ
გული შელევა ლოდინში.
ჯიბის „ჩიხოტკა“ გამოიხნდა.
ლაშის ჩაფარდუ ლოგინში.



ზესტაფონის მოვარეა
ბესარიან — ვეჩილე.
გვარად გაჩეჩილაძე,
ენა გამოქეჩილი.
შეძლებულებს, კულაკებს,
ეკონება ტუჩებში,
მეძებრით და წევრებით
დასეირნობს ქუჩებში.

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ლექსიანი


3. ლაუზია, ლანესუთი

6. ლომიძე, ბვილინი



გაზე: — უოჩაო, საუცხოვოდ გაართუო მი-
ზანს!
მუშკორო: — რასაც დავუმიზნებ, შიგ გა-
ვართყაძ!
გაზე (თავისთვის): ჰმ! ალბად მუშკოროა.

მეგრულიზვილი ბვილინი




— „ამხანაგობით“ მხოლოდ სხვებთან მომ-
მართე, ხოლო როცა არაფერ არის — „ბატ-
ონობით“.



— მუ, რა უფშაწური სიტყვები ისმის!
— აქ სკოლაა — ალბად მასწავლებელი მო-
წავტეს ჩვეულებსანებ „პარტებს“.

ნახ. მ — ბბს, ახალ-სენაი.



— ვინ არის ის უმაწვილი ასე „განიე-
რად“ რომ დადის რევოლვერით?
— ალბად პაჭუა ადამიაა!



მიამშ: — ამხანაგო, მომწოდე სარვირის-
თვის შენ მაგ ყუთი!
წო.იბარ.ი: — მოქალაქე, იყიდება, მანეთი
ღირს სწორედ ზუთი.

3. ნინუა, მარანი



— მე „ხვალ მოდი“-ს თქმისათვის განიშა-
დებს სამსახურთან. გუშინდელ მუშას კი
„იმ კვირაში მოდი“-ც არ ემეტება უფილ
განგებავის.

წერილი ძმას

ამალევა (ჭუთაინის ოლაი)

მოდის სამსახურში (დამოკიდებულია
მის სურვილზე).

იპოლიტე, იწერები ღრამატიული
წრის გამგეობიდან მოწმობა აიღეო,
ჯორჯეკა ბელთაძე ძალიან დატყარ-
თული არის საქმეებით, ჯერ ერთი —
მასწავლებლობს, ზოლო დანარჩენ
დროს ანდომებს გლეხკომის მდივნის
გართობას (რა ჭნას, ჭალი ცოდვაა —
ტყუილად ზის თავის პატარა კაბინე-
ტში).

ილაკო ხარაბაძეც დატვირთულია

და ნიზოცა — ნუ შემაწუხებ მაგ ხაჭუი-
სთვისო. მასაც დიდი საქმეები აქვს,
ის კაცი მასწავლებელია, გლეხკომის
თავმჯდომარე, რემედანის პდოვანია
და სამი კვირაა რაც რემედანის სასა-
რგებლოდ სილაამოს დადგმა გადასწყ-
ვიტა, ბილეთები გაყუდაო უკვე ხელზე,
ფული ჯიბეში ჩაიდვა და სილაამო კი-
დეც ვერ მოუწყვია და მე როგორ შე-
ვაწულს. ამ ხაჭუისათვის.

გუწერს შენი ძმა.

„რწული“

ძმარ იპოლიტე!

მივიღე შენი წერილი. ფულის გა-
ძობგზავნას იწერები. შენ ალბად დაფ-
ნის ავანსის იმედი გაქვს. მიუხედავად
იმისა, რომ ჩვენ წრეულს დაფნა არ
მოგვეჭრება, მაინც მოგახერხე ზანკი-
დან ავანსის აღება. ორდერი ოთხ
დღეს ვატარე. მოლარე ვერ ვნახე
(შალიკო ტყეშელაშვილი,) დილის
რვა სათიდან, როგორც მე, ისე სარე-
ბიც ელოდებოდენ, მაგრამ შალიკო
ხან თორმეტ საათზე და ხან პირველზე

მეშსრუსი

„თავის რიგზე“

წევის დარღვის საუბნო განყოფილებები არ ასრულებენ საწარმოო გეგმაში გათვალისწინებულ სამუშაოს, რაც გამოწვეულია იმ მანქანა მოვლენით, რომადგილებს ცენტრი არ აწოდებს საჭირო მასალას.

ამადა ადგილების გოდება:
ცენტრს არ ახსოვს მასალის მოწოდება.
უმიზნოა ადგილების გოდება:
ცენტრს მასალა რაში მოაგონდება? — ხომ არ მართებს. ადგილების ვალია?! — ადგილისთვის ან ცენტრს როდის სცალია?!

ბრალს ვინ დასდებს ცენტრის საქმის შეგნებით? — არ სცალია: გართულია გემგებით: საწარმოო გემგებს აწყობს ზევევებით, დაყოფილებს მუხლებით და თავებთ.

ვერც სცილდება გეგმას სულის კვეთება, — ყველაფერი „თავის რიგზე კეთდება!“

—:—
ქეთისა და ტინის ნაცვლად — ამბობენ —
ზოგის თავში თხლე არის და ჯონია.
და ნას ლაფში ჩაეარდნილი ურემი ხშირად სახლში ნიტანილი ჰგონია!.

დეპეშები

კახეთის რკინის გზაზე უკვალოდ დაიკარგა ლენით დატვირთული რონოლები №№379748, 122689, 16415 და სხვა.

დაკარგულ რონოლების მოძებნა დაევალა სადგურ გურჯაანის ადმინისტრაციას.

—:—
თელავის სადგურის მოლარემ პაპიაშვილმა ტვირთის გაგზავნაში აღებული ფული, 335 მანეთი, ჯიბისაკენ „გაატარა“, რის გამოც რკინის გზის ადმინისტრაციამ თვითონ „გატარებაში“ დახელოვნებული პაპიაშვილიც გამსახლისაკენ „გაატარა“.

ობერ კონდუქტორმა პეტრიაშვილმა, რომელმაც სამსახურის „ზედმეტი ერთგულების გამო“ ჯერ ვერ მოიცილა ისეთი „წერილმანი“ საქმიანობის, როგორც არის მისთვის საჭირო ინსტრუქციების წაკითხვა „უქანონო“ ბილიტებისათვის მატარებლიდან გადმოყარა 60 მგზავრი, დააჯარიმა 80 და ცხვირპირი ჩაუმტურია „ქანონიერ“ ჯარიმის გადუხელოების გამო 40 მოქალაქეს.

სამხიარულო განცხადება

გახარებული და გაბედნიერებული მოქალაქე კიკოლიკი ვაცნობებ მეგობრებს, ნაცნობებს და „ტარტაროზის“ ყველა მკითხველებს, რომ პარასკევს, 24 იანვარს ღამით ქუთაისიდან ტფილისში მოგზაურობის დროს მატარებელში

დავპარკე სიღადრი

ახოვანი, ცხვირი მოკაული, „სირინოზის“ ხმით და „ანგელოზის“ ბრწყალებით. მშოვნელს ვთხოვ ნუ დამიბრუნებს.

კაპოვის ნკურზა

ხომ არ გაიგეოკრავს

როგორც ვაზ. „რაბოხაია პრაუდას“ კორესპონდენტი გვატყობინებს ამას წინაღ აბასთუმანში ჩასულან სამსახურის საქმეებზე ბორჯომის რაიონის მსაჯული, მდივანი და იურიაკონსულტი, რომლებიც აბასთუმანში რამდენიმე დღე დარჩენილან. კოაპერატივის გამგის თანაშემწე მათ ყოველდღე უწყერდა თითო კილო შაქარს. წასილის დროს კი თვითიულომა მათგანმა თორმეტ-თორმეტი კილო „წააცოცა“ გამგის მოადგილის დახმარებით. როცა მას შეეკითხენ თუ რატომ აძლევს შაქარს ნორმაზე ზევით, უქანასკნელმა უპასუხა:

— უბრალო ვინმეებს ხომ არ ვაძლევ, მთავრობის ხალხიაო. საკითხავია მუშკოპის თანაშემწე რომ „ფეხი წაიკრას“ და ის რომ

კურორტ აბასთუმანიდან სხვა კურორტისაკენ „წააცოცონ“ „საავარაკოთ რას იტყვის მაშინ „მთავრობის ხალხი?“ ხომ არ გაიმეორებს: — უბრალო ვინმე ხომ არ არის, მუშკოპის კაციაო?

„მოღნი რამე“ სოიქსიკონი



პლატონ დლონტმა — ხილნაღელმა ვეჟილმა გამწმენდ კომისიის კითხვაზე: რა არის პარტია? სახელმწიფო?

ფო? მემარჯვენე გადახრა? და სხვა — უპასუხა:


- პარტია არის პარტია,
- სახელმწიფო არის სახელმწიფო,
- დანაშაული არის დანაშაული,
- მემარჯვენე გადახრა არის... არ ვიცო... არ მწამს არავითარი გადახრა და არც მინდა ვიცოდე რამე მის შესახებ.

გამოსულა ლექსიკონი „იურისტის“ პლატონის, — სახელიც რომ პლატონის აქვს — რად არა დირს მარტო ის? შიგ აზრები „სჯულმეტყველის“ ბრძნულად არის „ნაწერი“ — ეფინება ქალაქ სილნალს „სიბრძნე რობროხაძური“.

ფარეზი-მარეზი

ვანოს უშვარს როიალი, მისი დაკვრა და გრიალი

ბევრი იფიქრა დუშეთის სკოლის (ახალშენის) მასწავლებელმა ვანო კარსანიძემ, თუ როგორ გამხდარიყო პიანისტი. სულ ცოტა აკლდა, რომ ეს მიზანი გაეზორციელებინა: როიალი და მასზე დაკვრის ცოდნა. პირველი მიზანი (როიალის შექმნა) ვანომ ადვილად შესძლო: დაუძახა გლეხებს და სკოლის როიალი თავის ბინაზე გადაიტანა.



მეორე მიზანი (როიალზე დაკვრა) უფრო ძნელი და რთული აღმოჩნდა. ამბობენ—დიდ ნიქს იჩენს მუსიკას და მალე შეისწავლისო.

მაგრამ მოწვევები და სოფლები თხოულობენ—როიალის სკოლაში დაბრუნებას. დაცადეთ ვანოს—ერთი ოპერა მაინც დასწეროს.

მზითვენი უშვარს ლადოს... მზითვენი ფულიც ადოს. ქოქოსი.

— ჰოდა ასე დააჯერე სული ნუ წავიწყდება. ბიჭად ბიჭი კარგია-თქო. საბჭოს თავმჯდომარეობა ხუმრობა საქმე ხომ არ არის? თავმჯდომარე ვარ მთელი თემის. ხომ ხედავს თვითონაც სასიმამრო, თუ როგორ ჩემს სურვილზე ვატრიალებ მთელ თემს? როცა მინდა, მაშინ მოვალ სასახურში. ძალიან ხშირად არც კი გამოვცხადები. დავადებ ბოქლომს და.. ჰო, მართლა იმის თქმა კინაღამ დამავიწყდა. ჩემისთანა მოქიფე კაცს, იშვიათად ნახავს კაცი.

— ასე იოზნებოდა შუამავალს ხოფ. გორდის თემსაბჭოს თავმჯდომარე ლადო, რომელიც ქალის მოსაყვანად იმზადებოდა.


და მართლაც გასჭრა შუამავლის დიპლომატიამ. ლადომ მოიყვანა ცოლი, რომელსაც მოჰყვა მზითვენი ურმებით და ფულად 300 მანეთი.

— ხათრიანი კაცი ვარ, იაფად მოვიყრივო! კოლტურულ რევიოლიუციის ხანაში ნეტის აღება მეშინაობა იქნებოდა!—ამბობს ლადო სოფლებში.

გუშაგი ამგოზს მართალს, „გამგე ხხვეზს აქლმეზს ვართალს“ შალიკო.

თუ თქვენ შემთხვევით ქიათურაში ნოვინდით ღამით გავლა და თვალი მოჰკარით:

კოოპერატივის უკანა კარებიდან ვილაც ფრხილად მიიპარება მკლავებში ფართალ ამოჩრილი, — ქურდი არ გეგონოთ.



— არა, ქურდი არ არის. ის არტემ გუგუშვილია, კოოპერატივის გამგე დეისაძის მეგობარი. რომ ხხვეზს არ დაენახათ, გამგემ ღამით დაიბარა და საქონელი მისცა.

სამაგიეროდ, თურმე, არტემიც არ აკლებს დეისაძეს პატივისცემას. სწორედ მათზე ყოფილა თქმული: ხელი ხელს ჰბანს, ორივე კი... კოოპერატივს.

ნაკვეთხსელი

დააწინაურა. რიონჰესის ადმინისტრაციამ, ერთ-ერთი მუშა - კორესპონდენტი, „დააწინაურა“ სამუშაოდან მოხსნით. მოხსნის მიზეზია რიონჰესის სამუშაოთა მმართველის ადგილობრივ კედლის გაზეთში მხილება. იმასაც ამბობენ, რომ ადმინისტრაცია დააწინაურებს ყველა იმთ, ვინც მსგავს მაგალითს მიბაძავსო.

„განწმენდილები“ აცხადებენ. მიწსახკომის აპარატის წმენდამ დადასტურა, რომ საბჭოთა ტრესტში დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. თბილ-თბილ ადგილებზე მოწყობილი იყვენ ძველი ვაჭრები. წმენდის დროს „განწმენდილები“ აცხადებდენ, რომ სამსახურში იგინი მოეწყვენ საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

გულგრილად შეხვდა. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებას შრომის სკოლებისა და ტენიკუმების განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ, გულგრილად შეხვდა ზოგიერთი მასწავლებელი, ადგან მათ განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა, საშუალებას. უსაბამს ქეიფში გაატარონ საუკლესიო დღე-

სასწაულები. ამ მოვლენას, ისინი ხსნიან როგორც ანტიკვარტისტულ მოძრაობას.

მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. ქუთაისის მაზრაში გლეხობის მასიურმა ლტოლვამ კოლმეურნეობებსა და კომუნებში, მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა ადგილობრივ კულაკებზე და სასულიერო პირებზე. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, მათ განზრახული აქვთ ხელი აიღონ ანტი-საბჭოთა მოღვაწეობაზე.

კეთილი განზრახვა. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, საქართველოს მთელ რიგ სოფლებში, კულაკებს გადაუწყვეტიათ „დიპლომატიურად“ შეხვედენ თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, ქალაქიდან სოფლად შივლინებულ მუშათა ბრიგადებს.

დააგვიანეს. სავაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების ხელის შეწყობის მიზნით. კოლმეურნეობათა ცენტრმა და მიწსახკომმა ურთიერთშორის შეთანხმებით გამოიტანეს დადგენილება, რომ სატრაქტორო საღვლეობისა და კოლონების მოწყობა დაამთავრონ საშემოდგომო თესვის კამპანიის დასრულებისას.

ინდაურების შესახებ

ოზურგეთის „საპარასკევო“ ბაზარს ლევარსი ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდა, რომ გავეცო სურსათ-ხნაოვანის ფასები.

— რა ღირს, ბიძო, მაგ ინდაური? — შევეკითხა ლევარსი ბოხვაურელ ბიუს.

— ეშვსი მანეთი ბატონო! — სწორედ ასე ერთმანეთზე ასხმულად! — უმასუხა ბიუსმა ლევარსის.

— რავა! თოხარკია თუ?! რა აზრად ექვსი მანეთი! მე ისეთი ინდაური მყავდა, რომ... იცი რა ინდაურები მყავდა?!

და ლევარსის გარშემო თოქმის მთელი ბაზარი შეიკრიბა.

— გავციმავდი ხელს ასე, — და ლევარსიმ ჰაერში გაიმფირა ხელი, — დოუწუნწრუქებდი ინდაურებს, აფრინდებოდენ და ზე კაკალ ხელზე დამაჯდებოდენ. მეცხრე ინდაურს ცალი ფეხი უფარდებოდა, ვერ ეტეოდა ხელზე. ასე ჩამომყავდა ცხრა ინდაური ბაზარში და თითოს ექვს აბაზად ვყიდდი. შენ კი ერთ ინდაურს ექვს მანეთად აფასებ. ექვს მანეთად უწინ თოხარკი ცხენს იყიდდი! **ზმუკი.**



ლევარსი როსროსადი

რედაქციისთვის
„მუჟა“-ში და უპრ. „ტარტაროზემ“

ანკეტიის მსხვერპლი (მინბაძვა)

სარაიონო ქალაქი იყო პატარა ქონდარა, საბჭოთაი, სკოლით, მუშაკობით, — სხვა თითქმის არა ქონდარა.

სამხელეშაკები ყველანი კავშირში ჩაწერილიყო, და რაიადგოლოკომისა მდივნად მათ ესეათ ილიკო. ტან-ახოვანი, მეტყველი, ხალისიანი გულითა, ქეიფში ტოლომბაზობდა და ღვინოს სვამდა კულითა. ერთ მშვენიერ დღეს... (ახ, არა, ის დასაქცევი დღე იყო:

აღალმა კაცმა იმ წყეულდღეს თქვენი ქირო „წილიო“) თითქოს მოკლილი ილხენდეს, საქმე არ ქონდეს გაკენება,

მოსდის ოლქიდან ილიკოს ვეებერთელა ანკეტა. ათი ვეება ფურცელი, საშიში სანახაფია.

ზედ ხუთი კაცი ხელს აწერს თავმჯდომარე და ზავია. თვით ანკეტაში მთავარი თუთხმეტეოდე თავია და ყველა თავში კითხვების მოზავებულნი ზავია.

- სად დაიბადე?
- რომელ წელს?
- ვინ იყო შენი ნათლია?
- თვე? რიცხვი? რომელ საათზე?
- დაბადების დღე რა დღეა?
- რა სქამდა ბაბუა შენი?
- რამ მოკლა შენი ბებია?
- მამიდაშენი ელბიტე ვის, როდის შეუღლებია?
- როდის მიიღეს კავშირში დები და დეიდები?
- რომელ პარტიას მისდევენ ქვისლები და სიძეები?
- თუ უცოლო ხართ, აღნიშნეთ:
- როდის, სად დაქორწინდებით?

- თუ გყავთ—
- რას სქამთ და რას იცვამთ?
- ან როდის განქორწილდებით?
- მსჯავრდადებული ხომ არ ხართ? (აღნიშნეთ მუხლი, სტატია).
- რამდენი შეგიქამათ იხვი, ქათამი, ბატია?
- მათში ვარია რამდენი?
- რომელი ჯიშის?
- რა ფერის?
- ბონელი წლიდან დაქვრივდა მეუღლე თქვენი შავერის?
- გაბრიელ ებისკოპოზი რომ მოკვდა, თქვენ იმ ხანებში
- რას აკეთებდით? რას სვამდით? ან რა გეთესათ ყანებში?
- შენგან შექმული ლობიო რამდენი გრამი მოვიდა?
- ვაჟი გყავს? რა ხნის იქნება? სადღერი?
- თქვენი ცოლის და?
- შენი მძახალი ფოტინე ძეობას რატომ გადაყვა?
- როდის მიგიღეს კავშირში?
- რა ხნიდან?
- სად?..

და სხვა...და სხვა როცა ილიკომ ანკეტა შუამდე გადაიკითხა, ამოიხორა მწუხარეთ და ნალვლიანათ იკითხა: „ვინ უპასუხებს ამაზე“?.. და იქვე გული გაუხსტა, და გაცივებულს ანკეტაც უცებ ხელიდან გაუსხლტა. **მედუზა.**

სხანა ტალაუფონთა

(მუხიანი — ფარცხანაყანავი)


სადგ. ახალდაბა

— ჰააა!
 — გისმენ სამკითხველოს გამგე თალაუკვაძე.
 — რადიო თუ მიიღე? რაო? ჯერ არაო?!

რატომ? ფული შემოგეკამა? რომელი ფული? საღამოდან შემოსული? მიტომ ვერ იყიდე რადიო? ჰოო, მასე თუა, არ ყოფილხარ მტყუანი.

— ჰააა!
 — გისმენ სკოლის გამგე მალლაკე-ლიძე.
 — მოწაფეებს წიგნები თუ უყიდე? არა? რატომ არ გიყიდი? რაო, რაო? ა? წიგნები დაბეჭდილი არ არის? რას ამბობ, კაცო! სახელგამო საცხეა ყოველგვარი წიგნებით. ა? რაო? ჰოოო, თუ ფული შემოგეკამა, ეს სხვა საქმეა; ასე ვიტყვოდი, შე კაი კაცო. რაო? ჯამაგირს რომ მიიღებ, მაშინ იყიდი? არარაობას ესეც სჯობა, მარა იმედი არა მაქვს.

— ჰააა!
 — მუხიანი; ალექსანდრე კუხიანი-ძე გახლავარ!
 — გამარჯობა ალექსანდრე... რაო? შალვა გოგია სამუშაო დღეებს აც-დენს? რატომ? ნათლია იფარავს! კი, მარა კრებებზე რომ ბევრს ლაპარაკობს შრომის დეზერტირების წინა-აღმდეგ? მართალს ამბობ, რომ სიტყვასა და საქმეს „შუა უზის დიდი ზღვარი“.
 — ჰაა! რაო? ლავრენტი კახაძე მეცაბურობას ეწევა? რაო, რაო? ნოე ნუცუბიძე მუდამ მივრალია? მერე და ადგილკომი სად არის? რაო? თვი-თონ ადგილკომიც თვრება? ვასო ჟორჯოლაძე? რაო? სამიკიტრო რომ დალუქეს, ქეიფი სახლში გადა-იტანეს?
 — აა! ა! რაო? არ იმისი... ჰააა...
 — ხხრრრრრ...
 — დაგეკცეს ოჯახი...
 „მხ-სკი.“



რატატას (აქვე). ჩვენ ამ თქვენს წერილში ყველაზე უფრო გვიანტე-რუნებს გავიფოთ, თუ რამდენს უმა-ტებთ. როცა ამბობთ:

ამ ჩვენს გრიშა ნაკაძეს
 იცლახუთი (მწ) ცოლი ჰყავდა.

გვება, ვინ იცის, სწორედ იმის-თვის „დააწინაურეს“, რომ ბევრი სა-რჩენი ჰყავდა.

ზღვის-თიშვს (ქობულეთი). პქვენ ნუ გეშინათ, თუ მფლანგვე-ლმა არტემმა, რომელიც ციხეში იჯ-და, მეორამ:

არ გასულა დიდი ხანი
 დაიძვრინა ჩქარა თავი;
 საკრედიტოს მიაშურა,
 იქ იშოვა მან სახარავი.

გამსახლში მისთვის შემონახულია ადგილი. სხვა ამბები წერილმანია (და თანაც ცუდად დაწერილი).

სივ - მოლს (აქვე). თქვენი შა-რადის დასაწყისი:


ვერ მოვასვენე გონება,
 მინდა დავსწერო შარადა, ტარ-ტაროზმა ასე წააწერა:
 ჩვენსა გოდორში ჩავარდა
 თქვენი შარადა ჩქარადა.

იქ (გოდორში) უფრო მეტი მოც-ლილი ხალხია და ხალხით გამოოყ-ვანებენ თქვენი შარადის ამოცანას.

ჯუზღიძელს თქვენი წერილი გეგბ დაგვებუქდა, რომ შიგ ანეთი

აზრთა — წინააღმდეგობა არ იყოს: „კოლმეგრატეში მშვიერი თავგები ხა-ხრავს ვერ ნახულობდენ... ნოქარი ხა-მსონი გემრიელად შეეცდოდა საქ-მელს... ნოქარი სხვებს ჩუმად აძლე-ვდა საქონელს“. თუ არაფერი იყო, რას სჯამდა? თუ იყო — რატომ თავ-გებიც არაფერს სჯამდენ? თუ არ იყო — რას აძლევდა ნოქარი სხვებს?
 გწერთ: შემდეგი იქნებაო. იყო-ღეთი — შემდეგს შედეგაც ასეთი იქნება.

1-მვეშას (ქიათურა). ვას-რულებთ თქვენს თხოვნას, მიუხედა-ვად იმისა, რომ ეს ამბავი „ფარცხი-მარცხშიაც“ არის, და ვთავსებთ ნახატს:



კოკო. ღარაჯი (გამგე დეისა-ძეს): — ეხლა შეიძლება მოვიხედო!
დეისაძე: — ჯერ არა.
ღარაჯი (თავისთვის). ვა, მთელ კოლმეგრატეხს ხომ არ ატანს არტემ გუგუშვილს, რომ ამდანხანს არ იქნა უკანა კარებიდან მისი გაპარვა!

სიცივე ჰკლავს მოგზაურებს, არ ინთება „ფეჩი“ აქ; უფროსს შეშა სახლში მიაქვს და არ ვიცით რისთვის? რათა? საწყობიდან ეზიდება იაგარი სახლში ნახშირს. თუ გაბედე—რამე ჰკადრე გადმოავლებს ენას არშინს. ნარდის თამაშს ხელი მიჰყვეს, არ დაიქებს არვინ საქმეს და მორიგე დე-სე-პე აქ „სურნელოვან“ სიტყვებს აკმევს. დარბაზია სულ პატარა და ვერ იტყვს იგი მგზავრებს; ერთმანეთს ზედ ასხდებიან უფროსი არ ახელს თვალებს. ხურდა ფულის უქონლობა, აქვთ მიზეზად საღაროში კაპიკს, შურს იჯიბავენ... მათზე „რჩება“ ხურდა. გროში. ტარკორო.

ხმსსურიშვილს (ერწო). თუ მა-სწავლებელ ქალს ტუჩებზე საღება-ვის წასმისათვის ყური უნდა ავუწი-ოთ, თქვენ ხომ ყურის აწვევზე მეტი გეკუთვსის ასეთი ლექსის დაწერისა-თვის?!

ონიკს (ხაშური) სულზე ხელი დაიდევით, და მართალი გვითხარით: ზა.ტმოს სასაღილოში


მუდამ ჩხუბი აქვთ კატებზე. მიკროსკოპით, თორემ ისე ვერც კი შეამჩნევ კატლებზე,— რა შუაშია აქ კატა და კატლები? თუ რომისათვის (ისიც ცუდი რომისა-თვის) კატას ყურით მიათრევეთ კატ-ლებთან, რა თქმა უნდა, მოთმინე-ბიდან გამოსული კატა გემრიელად მიირთმევს კატლებს.

ლესტს (აქვე). თუ თქვენა და თქვენმა „ცოლმა კეკელამ ვალავინ-ცზე პარულკა ჰქენით“, თქვენმა წერილმა კიდევ მეტი გმირობა გა-მოიჩინა: სარტომორტალით ვადაფშ-ვა „საპრაგულკოდ“ გოდორში.

ენგუშაშვილს (სვანეთი, ბეჩო). თქვენ გვწერთ, რომ მასწავლებლები დიდი დაგვიანებით ვლებულობთ ჯა-მეგირსო:

...და ჯამაგირი არახად არა ხანს, თვე-თვეზე მიღის, კვირა-კვირზე, მაზრადმასკომო, ჩვენი ხელფასი ხომ არ ვადაღის ხადმე უირაზე?.. (თუ ვადაღის, ალბად მალე ვადა-მყოლსაც ვადაიყვანს).

„თვითკრიტიკა“



დამლაგებელი გამგეს: — დარბაზში არავინ არის ვის უკითხავთ მოხსენებას.
— მე არ ვარ თვითკრიტიკის წინააღმდეგი, პირაქით, თვითკრიტიკა კარგია, როცა არავინ გისმენს!